




## ქსელური მონაცემთა ბაზის ასლის აღდგენა


ორის ბულალტერიაში ლოკალური მონაცემთა ბაზის ასლის აღსადგენად, სისტემა გაუშვით ადმინისტრატორის უფლებით სერვერ კომპიუტერზე (იხ. დოკუმენტაცია სისტემის ადმინისტრატორის უფლებით გაშვება ). შედეგით **ფაილი/ასლის აღება-აღდგენა/ ასლის აღდგენა:**




იხილავთ ეკრანს:




ველში „ასლის ფაილების მარშრუტი“ მიუთითეთ ფაილის მარშრუტი დაანკაპეთ მაუსი  ღილაკზე . იხილავთ ეკრანს :



აირჩიეთ საქალაქე სადაც გაქვთ შენახული ასლის ფაილები. (მაგ:ORIS Backup)  
ეკრანის ქვედა ნაწილში გამოჩნდება იმ ასლის ფაილების ჩამონათვალი რაც საქალაქედშია.



მონიშნეთ მოსანიშნით ის ფაილები, რომლის ასლის აღდგენაც გსურთ და დააჭირეთ ღილაკს „ასლის აღდგენა“. იხილავთ ეკრანს:




ველში „ბაზის სახელი არქივში “ მითითებულია ბაზის დასახელება რაც ასლის ფაილში აქვს ბაზას.

ველში “SQL სერვერი ამ კომპიუტერზე ” მიუთითეთ SQL სერვერის დასახელება სადაც არის თქვენი მონაცემთა ბაზები.

ველში „მონაცემთა ბაზის სახელი “ ავტომატურად წერს სისტემა ველში „ბაზის სახელი არქივში “ მითითებულ სახელს . შეგიძლიათ ველში „მონაცემთა ბაზის სახელი“ ბაზის დასახელება შეცვალოთ.


გადანიშნეთ ველი „Windows ავტორიზაცია“, გააქტიურდება ველები: „მომხმარებელი“ და „პაროლი“. ველში „მომხმარებელი “ მითითებულია SQL სერვერის მომხმარებელი.ველში „პაროლი “ მიუთითეთ SQL სერვერის პაროლი (სტანდარტული პაროლი რაც მოყვება სისტემას oris@1992@oris).

თუ ბაზის დასახელებას შეცვლით გამოვა შეტყობინება:




დააჭირეთ ღილაკს „Yes“.

ქსელური მონაცემთა ბაზის ასლის აღდგენის შემთხვევაში ,ბაზების ჩამონათვალში ავტომატურად არ დაემატება თქვენს მიერ აღდგენილი ბაზის ასლი,ამისათვის შედით: **ფაილი/მონაცემთა ბაზების სია.**







იხილავთ ეკრანს:



გადადით ბარათზე „ქსელური“

	მონაცემთა ბაზის სახელი	SQL სერვერი
1	Artlighthouse	DELL-PC\ORIS
2	20192	DELL-PC\ORIS
3	SSD_SAGANGEBO1	DELL-PC\ORIS
▶ 4	MariMacros	DELL-PC\ORIS

მონაცემთა ბაზის დასამატებლად გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან მონაცემთა არეში დაანკაპეთ მუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება.

	ჩანაწერის დამატება	Ins
	კორექტირება	F2
	ჩანაწერის წაშლა	Del

იხილავთ ეკრანს:

დავუკავშირდეთ ქსელში არსებულ მონაცემთა ბაზას

SQL სერვერი: DELL-PC\ORIS

მონაცემთა ბაზის სახელი (ლათინურად):

ორგანიზაციის ტიპი: სამეწარმეო

საწყისი მონაცემების ენა: ქართული

სააღრიცხვო ვალუტა: GEL მეორე: USD

Windows ავტორიზაცია

მომხმარებელი: sa

პაროლი: xxxxxxxxxxxx


კავშირის შემოწმება

მთავარი სხვადასხვა OK Close

ველში “SQL სერვერი ამ კომპიუტერზე ” მიუთითეთ SQL სერვერის დასახელება სადაც არის თქვენი მონაცემთა ბაზები.

გადანიშნეთ ველი „Windows ავტორიზაცია“, გააქტიურდება ველები: „მომხმარებელი“ და „პაროლი“. ველში „მომხმარებელი “ მითითებულია SQL სერვერის მომხმარებელი.ველში „პაროლი “ მიუთითეთ SQL სერვერის პაროლი (სტანდარტული პაროლი რაც მოყვება სისტემას oris@1992@oris).

ველის „მონაცემთა ბაზის სახელი (ლათინურად)“ გასწვრივ დააჭირეთ ჩამოშლად მენიუს:



აირჩიეთ სასურველი ბაზა. დააჭირეთ ღილაკს „OK“.მონაცემთა ბაზების ჩამონათვალში დაემატება ბაზა.